№ 134. 26 ივნისი, ხუთშაბათი. 1866—1880 26 ივნისი, ხუთშაბათი № 134.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

ერევნის მოედანზე, ქვაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლაზარევის არუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა

მიიღება „დროებისა“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“-„Иверіи“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. . | 13 მან. . | 7 მან. . | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ . . . . . | 9 მან. . | 5 მან. . | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“. . . . . . | 6 მან. . | 4 მან. . | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა 2 მან.

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით სტრიქონზე 1 კაპ., წვრილმანიერის ასოებით - რუსულით სტრიქონზე ნახევარი კაპ. წვრილმანიერის ასოთი სტრიქონზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

მოვაგონებთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მხოლოდ პირველს ივლისამდე აქვთ „დროება“-„ივერიის“ ფული შემოტანილი, რომ თუ მეორე ნახევარ წლის ხვედრი ფასიც არ შემოიტანეს გაზეთი **პირველის ივლისიდამ აღარ გაეგზავნებათ.**

ზოგიერთი ხელის-მომწერლები, რომელნიც სოფლის ადრესს ქალაქისაზედ იცვლიან, ან ქალაქისას სოფლისაზედ, გვკითხავენ, ადრესის გამოსაცვლელად თითო მანათს რათ გვახდევინებთო. ეს ერთი მანათი გაზეთის ადმინისტრაციას უნდება ახალის ადრესის დასაბეჭდათ და ფოჩტით ნომრების გასაგზავნათ.

---

**არწრუნის თეატრში**
**პარასკევს, 27 ივნისს**

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I
**რა ჭირს გადავეკიდე**
კომედ. ერთ მოქმედ. გადმოკეთებული კ. ყიფიანისგან

II
**ორი ქორწილი ერთად**
კომედია ორს მოქ. მოჩხუბარიძისა

III
**ბნელ ოთახში**

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და აზნაუროვის მაღაზიაში.

**დასაწყისი 8 საათზე**

---

# ტელეგრამმები

—

**სტამბოლი**, 24 ივნისს. პორტამ პასუხი გასცა ელჩების საერთო ნოტას იმ ნაწილზედ, რომელიც სომხეთს შეეხება. პორტა აცხადებს, რომ მას ყოველთვის ჰქონდა სახეში ბერლინის ტრაქტატის 61 სტატიის გარდაწყვეტილება სომხეთის მდგომარეობის გაუმჯობესობის თაობაზედ და სცდილობდა შესრულებინა იგი. პორტა ცალ-ცალკე ასახელებს, რაც რამ მოახდინა ამ გარდაწყვეტილების შესასრულებლად. ბოლოს ნათქვამია პორტის პასუხში, რომ სომხები ას კაცზედ მხოლოდ ჩვიდმეტი კაცია იმ მაზრებში, რომელთზედაც ნოტაში ლაპარაკია.

**პეტერბურღი**, 24 ივნისს. „რუსის ინვალიდი“ ამტყუნებს „ტაიმსის“ ცნობებს რუსეთისა და ჩინეთის შეტაკებაზედ და რუსების დამარცხებაზედ და სურვილს აცხადებს, რომ ამ გვარი ცნობები არავინ დაიჯეროს.

---

ტფილისი, 25 ივნისს.

ჩვენ მივიღეთ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის სიღნაღიდამ კორრესპონდენციის თაობაზედ შემდეგი წერილი თავად-აზნაურთა სკოლის კომიტეტის ერთის წევრისაგან და ამ წერილს სიამოვნებით ვბეჭდავთ.

გაზეთს „დროებაში“ (№ 127) წავითხე, რომ ათს ამ ივნისს მოხდა კრება თავად-აზნაურთა სიღნაღში მოსალაპარაკებლად შვილების აღზრდაზედ. სხვათა შორის ზოგიერთს წამოუთქვამს ამ კრებაში, რომ ერთად-ერთი სკოლა გვაქვს ტფილისში, ეს სკოლა ჩვენის ბანკის ფულით ინახება; მასში მომატებული ნაწილი გორისა და ტფილისის მაზრის ყმაწვილები იზრდებიან და ჩვენ, კახელებს კი არ იღებენო.

ეს შენიშვნა სრულებით უსაფუძლოა და ჩვენ უნდა მოვახსენოთ იმ პირთ, რომელთაც ეს პროტესტი გამოუცხადებიათ კრებაში, რომ კახეთიდამ ძალიან ცოტანი იყვნენ მთხოვნელნი შკოლაში შემოსვლისა (სულ 32 და ქართლიდამ 228). ამათში სკოლის წესით ვინც მიიღებოდა მივიღეთ და ვინც არ მიიღებოდა უარი უთხარით. ამ უარის თქმის დროს სრულებით ყურადღება არ მიგვიქცევია ვინ იყო ქართლელი, ვინ კახელი. ქართლიდგანაც მრავალი არზა შემოვიდა რომლებზედაც ნება-უნებურად უარი უნდა გვეთქვა. ჩვენის პატარა ღონისძიებით დიდს სკოლას ვერ გავმართავთ თავის პანსიონით და ყველას სურვილს ვერ შევასრულებთ. ეხლა ჩვენს შკოლაში იზრდება 81 შეგირდი (ამათში 36 პანსიონში); პანსიონერების რიცხვში 16 ყმაწვილი იზრდება საზოგადოების ხარჯით.

ტფილისის მოსამზადებელი შკოლის კომიტეტი შესდგება იმისთანა პირთაგან, რომელნიც სულითა და გულით არიან მსურველნი ჩვენის პატარა ხალხის შეერთებისა და არა განყოფილებისა; ამათთვის კახელი და ქართლელი ერთი მამულის შვილები არიან, არაფერი ამათ შუა განსხვავება არასდროს ჰაზრშიაც არა ჰქონიათ. კომიტეტს სურვილი აქვს მხოლოდ თავისის ღონისძიებით შეეწიოს ყოველსავე ქართველს და მოამზადოს სახელმწიფო გიმნაზიაში შესასვლელად; ამ გიმნაზიების კანონით კი ყმაწვილები პირველს კლასში მიიღებიან მხოლოდ თორმეტ წლამდე.

ჩვენს პატარა სკოლასაც ეს კანონი აქვს სახეში მიღებულნი და ამიტომ მხოლოდ 7-ს და 8-ს წლის ყმაწვილს მიიღებს უეჭველად და მოამზადებს მათ საგიმნაზიოდ. 9 და 10 წლის ყმაწვილმა კი ცოტა მაინც უნდა იცოდეს წერა-კითხვა ქართული და რუსული, რომ მოემზადოს სამს ანუ ორს წელიწადს გიმნაზიის პირველის კლასისთვის. იქნება ვინმე კახელი, რომელიც იყო 10 წლისა და არ იცოდა არაფერი ვერ მიიღეს შკოლაში, იმისთვის რომ ორს წელიწადს 10 წლის ყმაწვილი თუ არაფერი იცის ვერ მომზადდება გიმნაზიისთვის; ეს არავის წინააღმდეგი არ უნდა დარჩეს.

---

# ფელტონი

—

**კახეთის თავად-აზნაურთ** *)

მას აქეთ, რაც გორის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა თვისი გონივრული გარდაწყვეტილება ქართულის სკოლის შესახებ, ვგონებ, მთელი განათლებული საქართველოს თვალ-ყური იყო მიქცეული კახეთისაკენ. კახეთის თავად-აზნაურთაგან მოველოდით გორელებსავით ჰკვიანურს მოქმედებას, რომელზედაც არის დამოკიდებული მომავალის ქართულ გიმნაზიის ბედი და უბედობა. მაგრამ ამ ბოლოს დროს ჩვენს მოლოდინს წინ აღემართა ისეთი იჭვნეულება, რომელმაც ლამის სასიამოვნო გულის-ცემა სანატრელის მოლოდინის წინ სულის უსიამოვნო ღელვათ შესცვალოს.

წარსულის კვირის „დროების“ ერთს ნომერთაგანში იყო დაბეჭდილი კორრესპონდენცია სიღნაღიდამ. ავტორი ამ წერილისა გვატყობინებდა ბევრს უსიამოვნო ამბებს... სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურობამ ვერც დღეს შეადგინა კრებაო. მართალია, სასიამოვნო არ არის ის გულ-გრილობა, რომელიც იხატება ამ „ვერც“-ში, მაგრამ ეს სრულიად არაფერი!. საქმე იმ აზრებშია, რომელნიც სიღნაღში იმ დროს შეგროვილთ ზოგიერთა თავად-აზნაურთ წარმოუთქვამთ... „გორის მაზრის თავად-აზნაურთ ნუ შევუერთდებითო, ჩვენ ჩვენთვის გავხსნათ კახეთში სკოლაო“, უთქვამთ მათ. დიახ, კარგი!.. მაგრამ ძიბრძანეთ—როგორი სკოლის გახსნა გსურთ კახეთში? გიმნაზიის გახსნას, ვგონებ, ვერ შეიძლებს მხოლოდ კახეთის თავად-აზნაურობა! მოსამზადებელი სკოლის გახსნა კი, ჩემის აზრით, დიდს რასმე სარგებლობას ვერავის ვერ მოუტანს!.

როგორც მოგეხსენებათ—აზრი ამ გვარის სკოლისა არის ბავშვების მომზადება გიმნაზიების პირველ კლასებში შესასვლელად. ამ აზრს უნდა მიმართოთ თქვენი სწავლის და აღზრდის საშუალება. თუ ასრე მოიქცით, მაშინ თქვენი მოსამზადებელი, შკოლა ბევრათ აღარაფრით განირჩევა სხვა მოსამზადებელ შკოლებთაგან, რადგანაც გიმნაზიების პირველ კლასებში შესასვლელად ბავშვებისთვის საჭიროა დაახლოვებითი ცოდნა რუსულის ენისა და ამ ენას ამის გამო თქვენ უნდა მისცეთ დიდი დრო და ალაგი შკოლაში; თუ ასე არ მოიქეცით ორი, თუ სამი წლის განმავალობაში თქვენი სოფლელი ბავშვები, რომელნიც სკოლაში პირველად გაიგონებენ რუსულის ენის ხმებს, სრულიადაც ვერ მომზადდებიან რუსულს ენაში და, მაშასადამე, თქვენი სკოლა ვერ მიახწევს თავის მიზანს; ძალაუნებურად თქვენ მოგიხდებათ სამშობლო ენის შევიწროვება და მის მაგივრად უცხო ენის გაპარპაშება.

რუსულ მოსამზადებელ სკოლებშიც ამაზედ მეტს რასა სჩადიან? გარდა ამისა, არც არაფერი დიდი მნიშვნელობა აღზრდას აქვს ამ გვარს შკოლაში.

მართალია, ბავშვის შთაბეჭდილებათა დიდი მნიშვნელობა ჰქონიათ ზოგიერთ ადამიანების ცხოვრებაში: ეს შთაბეჭდილებანი ბევრჯელ გამხდარან ადამიანის მომავლის გონებით და ზნეობით განვითარების საფუძვლად. დიახ შესაძლებელია, რომ ამ გვარის შთაბეჭდილებით აღზრდილი ებრძოლოს თვით შთამომავლობით გარდმონაცემს: ნელ-ნელა დაასუსტოს შთამომავლობით გარდმოცემული თვისებანი და მათ ნაცვლად აღზარდოს და გაავრცელოს სხვა უკეთესი თვისება. მაგრამ ყველა ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ბავშობიდამ ვაჟკაცობამდე ადამიანი იზრდება ერთ-გვარ, ერთ-სულოვან შთაბეჭდილებისა და აზრების გავლენის ქვეშ.

თქვენი მოსამზადებელი სკოლა ამას მოკლებული იქნება. ორ-სამს წელიწადს მხოლოდ ორიოდ მძლავრ

---

*) ეს წერილი მოგვივიდა თავად-აზნაურთა სკოლის ინსპექტორის ბ. ლომაურისაგან, რომელშიაც ავტორი ამტკიცებს აუცილებელს საჭიროებას ეროვნულის სკოლის გამართვისას, ვიდრე უსლახდელი სკოლისა. თუმცა ამ საგანზედ ბევრი რამ თქმულა ჩვენს გაზეთში, მაგრამ მომეტებულის თქმაც ურიგო არ იქნება, მეტადრე იმ პირთაგან, რომელთაც დაწვრილებით იციან ამ სკოლის გარემოება.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოს ხარჯით მცირე-წლოვანები იდებენ სკოლაში კენჭით, ამისათვის, რომ ხუთი ადგილი გაიხსნას, ორმოცდა-ათი მთხოვნელი გამოჩნდება; აბა უკენჭოთ ვინ ამოვირჩიოთ? ამორჩევაში უფრო შევცდებით და უფრო დიდს საყვედურს გავიგონებთ საზოგადოებისაგან.

იმისთვის მივმართეთ მთელს თავად-აზნაურობას მთელის თბილილისის გუბერნიისა, რომ მოვიპოვოთ მეტი ღონისძიება, და ყველა შეძლებულის და შეუძლებელის თავად-აზნაურის შვილებისთვის გვქონდეს ადგილი და ბინა სკოლაში, ესე იგი შეგვეძლოს გამართვა საკუთარის გიმნაზიისა, სადაც თოთხმეტის წლის ყმაწვილის მიღებაც კი შეიძლებოდეს მოსამზადებელს პირველს კლასში. გიმნაზიის გამართვა მთელის გუბერნიისათვის ადვილი საქმეა და არც ბევრი ფული გაუვა თითო თავადს და აზნაურს. თითო მაზრას ცალ-ცალკე არ შეუძლიან რიგიანი და სასარგებლო სკოლა გამართოს, რაც უნდა დიდი ხარჯი გამოიღოს მაზრის თავად-აზნაურობამ.

მაზრის ქალაქებში, ან თითონ თბილისში მე არ ვურჩევ არას დროს მოქალაქეებთან ერთად გამართონ სკოლები, მაშინ ეს სკოლები მოქალაქეებით გაივსება, როგორც ეხლა თბილისში სახელმწიფო სკოლები და გიმნაზიები მოქალაქების ხელშია და თავად-აზნაურის შვილები გამოდენილები არიან.

უნდა იცოდეს თავად-აზნაურობამ, რომ დღემდის მოთავობა მის ხელშია, თუ თავიანთ შვილებს თავად-აზნაურები სასწავლებლებში არ აღზრდიან, ეს მოთავობა სხვას უნდა დაუთმონ და ასრეც მოხდება; ამაში მარტო თავად-აზნაურობა იქნება წაგებული, საზოგადოთ ხალხისათვის კი იქნება უფრო სასარგებლოც იყოს. როცა თავად-აზნაურობა შეიყრება კიდევ სიღნაღში და სხვა მაზრებში, უნდა კარგად იფიქროს იმან თავის მოვალეობაზედ.

წევრი სკოლის კამიტეტისა.

## ახალი ამბები

—

„გოლოსს“ სწერენ, ფოთიდამ: ამ ქალაქში პირველის სეკტემბრიდამ გაიხსნება ზღვის ხელობის სასწავლებელი ქალაქის ხარჯზედ: მთავრობა წელიწადში ასი თუმნის შემწეობას მისცემს ამ სასწავლებელს.

***

ჩვენ გვითხრეს, რომ წრეულს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას არც ერთი სემინარიელი არ გაუგზავნია სახემწიფო ხარჯზედ სასულიერო აკადემიაში, რადგან „არც ერთი მათგანი ღირსი არ იყო გაგზავნისო.“ სინოდს მოუნდომნია ამ საქმის გარჩევა და მოუთხოვნია სემინარიის მმართებლობისათვის აცნობოს დაწვრილებით ეს მიზეზი.

წრეულს სასულიერო სემინარიაში თორმეტს გაუთავებია კურსი: რვას პირველს წყებაში და ოთხს მორეში. ნუ თუ პირველს რიგში ერთი მაინც არ მოიძებნებოდა ღირსი გაგზავნისა?

***

თბილისის ოლქისა სასამართლომ 21 ივნისს დაარღვია გარდაწყვეტილება ჯანჯულაზოვების მოვალეთა კრებისა, რომელიც მოხდა 9 ივნისს და რომელმაც აჩქარებით ზოგიერთი უწესო განკარგულება მოახდინა,

მაგ. ჯანჯულაზოვების მოვალეთ ზოგიერთები ცნობილნი იყვნენ მხოლოდ ჯანჯულაზოვებისავე სიტყვით და არა ნამდვილის დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ. ამ გვარი მოვალეები სასამართლოს შეეძლო განგებ წარმოდგენილ მოვალეებათ ეცნო.

ამას გარდა ტყუილათ დაალპეს მთელი ხორაგეული, რომელიც ბულვარზედ გამართულს მაღაზიაში იყო მოქცეული და ტყუილათ ზამთრისთვის ინახვენ სარდაფებში შენახულს ყინულს.

***

„კავკაზს“ ბათომიდამ ერთს სასიამოვნო, მაგრამ ძნელად დასაჯერებელს ამბავსა სწერენ:

სტამბოლიდამ დაბრუნებულა ბათომის მაზრაში დიდად პატივცემული მოლლა ლომან-ეფენდი, რომელიც ხალხისაგან გაგზავნილი იყო სტამბოლში იმ პირობების შესატყობათ, რა პირობებითაც ოსმალეთის მთავრობას შეეძლო გარდასახლებულების მიღება.

ჯერ სტამბოლიდამვე ლომან-ეფენდის მოუწერია წერილი, რომლითაც აფთხილებდა აჭარლებს არამც-დაარამც არ გადმოსახლდეთ, თორემ სილატაკის და უბედურების მეტი არა მოგელისთ-რაო.

დაბრუნების შემდეგ ლომან-ეფენდი და ოთხი სხვა მოლლა წასულან ბათომის გუბერნატორთან და უთქვამთ, ჩვენ სურვილი გვაქვს რუსეთს ვემსახუროთ, თუ ზოგიერთს პირობებს არ დაარღვევთო. ეს პირობები, სხვათა შორის, შემდეგნი არიან:

სასამართლოებში საქმეთა წარმოება მუსულმანთა წესზედ იყოს; ხარჯი იმაზედ მეტი არ გაიწეროს, რაც ოსმალეთის მმართველობის დროს იყო; მუსულმანების სკოლები მეჩეთებთან მოსპობილი არ იყოს; ხალხი სალდათად არ გამოიყვანონ; ბათომიდამ ახლო-მახლო ალაგებში ნება ჰქონდეთ უფასოდ ჰზიდონ ოჯახისთვის სიჭირო ნივთეულობა; მმართებლობის მოხელენი ტკბილად მოექცნენ ხალხს; ღარიბებს შემწეობა მიეცეთ მმართებლობისაგან და სხვა.

„კავკაზის“ სიტყვით გუბერნატორი ტკბილად მოექცა მოლლებს და დაჰპირდა, რაც კი შესაძლებელია, შევასრულებ თქვენს პირობებსაო.

***

იმავე გაზეთს სწერენ ბათომიდამვე, რომ ციხისძირის გზაზედ ავაზაკებს 2 ყაზახი მოუკლავთ და ართვინის ახლო მოუკლავთ აგრეთვე ოლქის მმართველობის თარჯიმანი ჯაფარიძე.

***

ჩვენ მივიღეთ წერილი, რომლითაც გვატყობინებენ, რომ ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე, გორის ეპისკოპოსი, წაბრძანებულა დავით გარეჯის მონასტერში, ადგილობრივი წინამძღვარის არხიმანდრიტის გრიგორის თხოვნით, და მიუქცევია ყურადღება მონასტრის კედლების ცუდს მდგომარეობაზე. ამ კედლებიდამ შემოდიოდა ეკკლესიაში წყალი, და, რადგან მონასტერს არა ჰქონდა საკმაო საშუალება, კედლები გაუკეთებლად რჩებოდა თან-და-თან ფუჭდებოდა. ყოვლად სამღვდელოს უკისრნია ამათი გაკეთება თავისის ხარჯით. მისს მაგალითს გამოუწვევია სხვა მოქალაქეებიც, რომელნიც დღეობაზე მოსულიყვნენ და, თავის მხრით, შეუწირავთ, შეძლებისამებრ.

სრულის მადლობისა და წაბაძვის ღირსია ეს დაუცხრომელი ქველის-მოქმედება ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე ეპისკოპოზისა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

მალარო, 24 ივნისს. სოფელს მალაროში და მის ახლო მდებარე ბოდ-

---

ბუნებიან ბავშვს მისცემთ რამე ზნეობით სარგებლობას თქვენის აღზრდითი სისტემით; უმრავლესობაზედ კი ამ სისტემას მხოლოდ მოკლე-დროებითი გავლენა ექნება. სამის წლის შემდეგ თქვენი შკოლიდამ ეს უმრავლესობა. გადავა სხვა გვარ შკოლაში: იქაური შთაბეჭდილებანი ნელ-ნელა განსდევნიან ძველებურ შთაბეჭდილებათ და ეს თქვენი საყვარელი პატარა ძმები ცოტა ხანს უკან ამაყად აუქცევენ გზას იმ მიზანს, იმ იდეალს, რომლის მკრთალ შუქისკენ თქვენ მათ ხელს უშვერდით. გაიზრდებიან ისინი და, შეიარაღებულნი ათასნაირის სისაძაგლით, თვითონ თქვენვე გადაგელობებიან წინ.

ამ ნაირად თქვენს მოსამზადებელს შკოლაში, ჩემო ბატონებო, როგორც სწავლა, ისე აღზრდა წავა უხეიროდ და უსარგებლოდ. სრულებით სხვა ნაირად შეიცვლება ეს სურათი თუ რომ ჩვენ როგორმე ჩვენი გიმნაზია გავხსენით.

მაშინ თელავსა, სიღნაღსა და გორში შეიძლება მოსამზადებელი სკოლების გახსნა; მათში, მეცნიერების მოთხოვნილებისამებრ, მხოლოდ სამშობლო ენას ექმნება ალაგი და, მაშასადამე, სწავლა დაადგება მათში თვის ნამდვილს და სწორე გზას. იქიდგან ბავშვები გადმოვლენ თბილისის ქართულ მომავალ გიმნაზიაში, სადაც ისინი ნელ-ნელა სწავლით, სხვათა შორის, რუსულ ენასაც წაშორებით უფრო კარგათ შეისწავლიან, ვიდრე ეხლანდელს გიმნაზიებში. აღზრდასაც თვისი გარკვეული, ერთნაირი გზა ექმნება: ჩვენი პატარა ძმები ორ-სამ წელიწადს კი არა-ვაჟკაცობამდის ჩვენს გვერდს იქმნებიან.

მაშინ და მხოლოდ მაშინ ქართველის ნიჭი გამოიჩენს თვის ძალას და საქართველოს დაეზრდებიან ნამდვილნი შვილნი და მოქალაქენი; მაგრამ მარტოკა ვერც ქართლი გახსნის გიმნაზიას, ვერც კახეთი. ჩვენი ქონებითი ძალა ისეთ ნაირად არის დღეს დაძაბუნებული, რომ რამე დიდი საქმის საწარმოებლად უსათუოდ საჭიროა მრთლად ქართველის ერის ჯიბეების შეერთება. ამ გვარი დიდი საქმეა გიმნაზია.

მაშასადამე ქართლ-კახეთის ერთმანერთისგან დაშორება მამაკვდინებელი სენი იქმნება ამ საქმისათვის.

დიდი რამ მიზეზი რომ იყვეს განჩხირული ქართლსა და კახეთს შუა მაშინ კიდევ ჰო; ჰო, შეიძლება მათ გაცალკევებაზედ ლაპარაკი, მაგრამ დღეს, ჩვენდა-საბედნიეროდ, მათ შორის ამ გვარი არა არის-რა! სიღნაღის მაზრის ზოგიერთ კეთილშობილთ ამ გვარი მიზეზი დაუნახავთ მასში, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში კახელი ბავშვები ცოტანი არიანო. ეს სწორეთ მართალი ვახლავთ, მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე — სკოლის მმართველობა, თუ თქვენვე, ჩემო ბატონებო? მოგეხსენებათ რომ ამ სკოლაში კენჭის-ყრით იღებენ ბავშვებს. მმართველობის წევრად ვინ იქმნება იმისთანა უსინიდისო, რომ აქ რამე ცუღლუტობა იხმაროს. თვითონ ბავშვები არიან კენჭის ამომღებლები და რასაკვირველია, კენჭი იქაურებს უფრო შეხვდებათ, საიდამაც უფრო ბევრი თხოვნა მიუღია მმართველობას. აი, გავარჩიოთ მაზრებზედ თხოვნები და მაშინ, ვგონებ, თქვენთვის, ბატონებო, ცხადი იქმნება — თუ რათ არიან თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში ქართლიდამ ბევრი და კახეთიდამ ცოტა ბავშვები. სკოლის დაარსებიდგან აქამომდე მმართველობას მიუღია სოლ 262 თხოვნა. აქედამ

1) გორის მაზრიდამ — — 132.
2) თბილისის მაზ. — — 73.
3) თელავის მაზ. — — — 18.
4) სიღნაღის მაზ. — — — 12.
5) დუშეთის მაზ. — — — 22.
6) ქუთაისის მაზ. — — — 2.
7) თიანეთის მაზ. — — — 2.
8) ახალციხის მაზ. — — 1.

ნიკო ლომოური.

23 ივნისს, 1880 წ.

ბეში, ჭოტორში წინათაც ხშირი იყო და ეხლა კიდევ უფრო გახშირდა საქონლის ქურდობა. ამ სოფლებმა სხვებს გადააჭარბეს ქურდობაში, იმიტომ, რომ ამათ მეზობლად აქვე ბორზედ სცხოვრობენ თათრები, ტურებივით დაბადებითვე ქურდები. ესენი ქურდობენ განა იმიტომ, რომ აკლიათ რამე? არა; ამათ ქურდობა უყვართ; ესენი ქურდობაში იჩენენ თავიანთ ვაჟ-კაცობას.

გახშირდა ქურდობა და ქურდობასაც უეჭველია თან მოჰყვებოდა თავ-პირის მტვრევა, სისხლის ღვრა და კაცის კვლა. მაგალითისათვის მე აქ გიამბობთ მხოლოდ ერთს ამბავს, რომელიც ამ მოკლე ხანში მოხდა და რომელმაც თითქმის ყველას მხრივ უყურადღებოთ ჩაიარა.

ერთს გამოჩენილს მაღარელ აზნაურშვილს ნასიძ ნასიძეს შუადღისას მოსტაცეს თათრებმა ბინიდამ სამი ცხენი. წავიდა პატრონი ნასიძე თათრების ბინაზედ ცხენების საძებნელად და ჯერაც ეძებს. მეორე დღესვე ხმა მოვიდა, რომ ნასიძე მოჰკლეს თათრებმაო. ვინ მოკლა, სად მოკლეს, გვამი მაინც რა იქნა?—ყველა ეს კითხვები რჩება აქამომდე უპასუხოდ და გამოუძიებლად.

ეს შემთხვევა პირველ შეხედულობით არ არის ისეთი გასაკვირველი, მაგრამ აბა ახლა მოისმით დაწვრილებით რა' ხმა დადის ამ სიკვდილზედ ხალხში: ერთს მშვენიერს დღეს შუადღისას მოვა საწყალი ნასიძ ნასიძეს ბინაში ვიღაც ისკანდარა *), გამოჩენილი ქურდი თათარი, ამოარჩევს სამს ცხენს და ეტყვის მოჯამაგირეს, უთხარი ნასიძეს, რომ იმას ცხენები ისეც ბევრი ჰყავს და ეს ცხენები მე, ისკანდარას, მიმყავსო.

ნასიძეც არ გახლდათ საწყალი ზოგიერთსავით ქალაჩუნა კაცი, რომ ამით შეშინებულიყო და არ მიექცივნა ყურადღება ჯერ საზოგადოთ მოპარვისათვის, მერე შუადღისას და ისეთის მასხარად აგდების სიტყვების დაბარებით. მაშინვე შემოირტყა იარაღი, შეჯდა ცხენზედ და გასწია თათრებისკენ ცხენების საძებნელად.

რამდენს ეხვეწა მოჯამაგირე დაბრუნებულიყო და სხვა გაეგზავნა საძებნელად, მაგრამ მაინც არ დაიშალა. ჯერ შუა გზას არ იქნებოდა გასული, რომ მოჯამაგირე ისევ დაეწია და უთხრა ტირილით: „ნასიძე, დაბრუნდი, თუ შენი ცოლ-შვილი გებრალება; ნასიძე, ნუ მიხვალ იმ მ...“ ისკადარამ ისე დიდ-გულობით და კვეხნით წაიყვანა, რომ უთუოთ მოგკლავს სადმე.“ ამ სიტყვებით ძლივს დაებრუნებინა საწყალი ნასიძე მაგრამ იმის ვაჟ-კაცს გულს რა მოასვენებდა? იყო ერთი ორი საათი შინ და მერმე ისევ წამოხტა: „ვაიმე, ვაიმე: ი ქეციანმა თათარმა უნდა ისე შემაშინოს, რომ შუადღისას ცხენები დამტაცოს და მე კი ხმა ვერ გავცე!“ შეჯდა ერთს კარგს ცხენზედ და გასწია მარტოკამ. ეხლა ველარავის თხოვნამ და ხვეწნამ ველარ გასჭრა და ველარ დააბრუნეს საწყალი უკან...

გზაში შემოხვდა ერთი ნაცნობი თათარი და გაიყოლა თან. მივიდა ისკანდარას ბინაში, მაგრამ იმან, ქურდობაში გამოქნილმა და თავისის ყოჩაღობით გაამაყებულმა, ჩალათაც არ ჩააგდო ცხენების პატრონის მისვლა.

— რათ მიგყავს ეს, ისკანდარ, უთხრა ნასიძემ, განა მე შენგან ეს იმედი მქონდა?!

— არაფერი; გაგეხუმრე, ნასიძე ბეგ, მიუგო ისკანდარამ, და აი შენი ცხენები ისევ წაიყვანე. ასე მიუგო, მაგრამ გულში კი ამ იუდას კერძმა განიძრახა ნასიძეს მოკვლა, რომ სხვებიც არ დაჩვეულიყვნენ იმის ბინაში ასე უშიშრათ სიარულს.

იმ ღამეს ცხვარი დაჰკლა ისკანდარამ და დასხდნენ საქეიფოთ. ისკანდარა, იმისი შვილი ერთი სხვა თათარი და ნასიძე მარტო; მიყოლილი თათარი საიღაც გაპარულიყო.

იმავე ღამეს ჰნდომებოდათ აესრულებინებინათ თავიანთი სურვილი, მაგრამ ნასიძე ყოჩაღათ მოქცეულიყო და ველარ გაებედნათ.

მეორე დღეს იმ სამს თათარს ერთიც მიჰმატებოდათ და ეთქვათ ნასიძესთვის, წამოდი ცხენები წაასხიო. ნასიძე წაჰყოლოდა. ერთს ალაგას ერთი დაღმართი იყო ჩასასვლელი; ისკანდარა და ნასიძე ამ დაღმართზედ წინ წავიდნენ და სხვა თათრები უკან მისდევდნენ.

ამ დროს ისკანდარას შვილი დასცემს ზურგში ნასიძეს თოფს. ნასიძე ჯერ არ მოკვდება; იძრობს ხმალს, დაიძახებს: „ჰაი, შე ღორო!“ და დასცემს მუცელში ისკანდარას, მაგრამ ისკანდარა, მიაშველებს ხელს და ხელის მეტი არა გაუფუჭდება-რა, ნასიძეს უნდა დაარტყას ხმალი თავში ისკანდარას, მაგრამ ამ დროს დაეცემა მეორე თოფი ზურგში. ამ მეორე ტყვიითაც არ მოკვდა და გააჭენა თურმე ცხენი. იქნება თავიც დაეხსნა, მაგრამ აქვე ბინიდამ დაუტიეს დიდრონი ჩობანი ძაღლები; ძაღლებმა გადმოიღეს კაცი ცხენიდამ და ისკანდარამ კიდევ ცოცხალ-მკვდარი კაცი ჰკუწა ხმლით.

წავიდნენ მკვდრის საძებნელად ბიძაშვილი მოკლულისა და ერთი სხვა კაცი, მაგრამ ვერა გაიგეს-რა, ან კი რას გაიგებდნენ, როდესაც ისკანდარას ბინასთან შიშით ვერ მისულან.

მოჰკლეს ეს პატიოსანი, მამაცი კაცი და ნეტავი ან ადგილობრივს მთავრობას, ან სხვა ვისმეს ხმა ამოეღოს. ნუ თუ არავისი ვალი არ არის ესა?

„მისა“

---

*) უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ისკანდარა ერთხელ ყოფილა ციმბირში, გამოქცეულა და ეხლა აქ ოინებს ჩადის.

---

გორი, 21 ივნისს. „დროების“ № 124 ეწერა გორიდამ, რომ ამ ივნისის 3-ს აქ ყოფილა ბ. ტფილისის ღუბერნატორი, რომელიც ქართლში მოგზაურობდა კალიის მუშაობის დასახედავათ. ვითომ ბ. ღუბერნატორის ჩამოსვლის დღეს გორში აქაურსსახელოსნო გამგეობის უსტაბაშს, თუთუნოვს, დიდის ფაცა-ფუცით გამოუყვანია ცოცხებით დაიარაღებული ხალხი და გაცხარებით უხოცნია კალია, მაგრამ, როგორც კი წასულა ბ. ღუბერნატორი, იმ წამსვე მუშაობისათვის თავი დაუნებებია და ხალხი დაუთხოვია. იმავე კორრესპონდენტის სიტყვით სამი კვირაა, რაც გორიდამ ხალხი არ გასულა კალიის სახოცავათაო, ლამის კალიის სიმრავლემ თვალები ამოგვჭამოსო.

ბ. კორრესპოდენტის სიტყვებიდგან სჩანს, რომ ამ შემთხვევაში გამგეობის უსტაბაშს ოინობა უხმარია: გუბერნატორი მოსასვლელი ყოფილა, უფიქრნია, მოდი და ეხლა გამოვიყვან ხალხს და მუშაობას გავმართავო; ის ნახავს და სხვა რა უნდაო; გუბერნატორის წასვლის უმალვე კი ხალხი დაუთხოვნია.

როცა ბ. კორრესპოდენტი ხელში იღებდა კალამსა ზემო აღნიშნულის საქმის დასაწერად მე მიკვირს სინიდისი რას ეუბნებოდა. არა, გასაკიცხია თუთუნოვი, თუ იმისი კეთილი შრომა დასაფასებელია. ათასობით ხალხია მნახველი და ათასობით ხალხი ლაპარაკობს, რომ სამაგალითო ზომიერება მიიღოვო თუთუნოვმა კალიის დასახოცავათ. მტკიცე საბუთებით დავუმტკიცებ მკითხველებს: რომ ენერგიულად უმუშავნია თუთუნოვს და კორრესპონდენტს ან ხასიათათ ჰქონია სიცრუით ლაპარაკი ან არა და შეხვედრით უნახავს ამისი მუშაობა, ერთხელ გორის ქუჩებში.

აი მოისმინეთ: თუთუნოვი ბ. ღუბერნატორის განკარგულებით ამ წლის აპრილის 26-დამ შეუდგა კალიის თესლის აკრეფას, კალიის დაჭერას და დახოცვას და 29-ს მაისამდინ აუმსიათ კალიით თუ თესლით 779 ტილოს ტომარა, რომელზედაც თავ-თავის დროს უცნობებიათ ბ. ღუბერნატორისთვის ოფიციალურად შემდეგის №№ 60, 81, 82, 84, და 92. და მინამ ღუბერნატორს მოახსენებდენ, ხალხი ამოწმებდა დღეში რამდენი ტომარა აიკრიფა, და მაისის 29-იდამ ივნისის 5-მდინაც მოგროვდა 43 ტომარა. ეს ის დრო იყო, როცა გორში შემოგვესია კალია და ხუთ თიბათვიდამ კი კალია დაიკარგა გორიდამ და თვალით აღარ გვინახავს. ამ ანგარიშით შესდგება დახოცილს გარდა 822 ტომარა დაჭერილი კალია. მცირედი რომ ჩავაგდოთ თითო ტომარა გამოვა ექვსი ფუთი, და სულ შეადგენს 4,932 ფუთსა.

ვკითხავ კორრესპოდენტს: უსინიდისო ანუ ოინიანი კაცი ამ მცირედს ხანში ამოდენს კალიას მოაგროვებინებდა? თუ იქ ბრძანდებოდა კორრესპოდენტი მუშაობის დროს, დავიჯერო არა ჰხედამდა თუთუნოვის შრომას, რომელსაც კაცის ნიშან წყალი აღარ ედო სახეზედ: მზისაგან დამწვარი იყო, საცოდავათ დადიოდა და ბევრი ყვირილითწ და აქეზებით ხმა ისე წართმეული ჰქონდა, რომ ხელესით ანიშნებდა ხალხს.

უბრალოდ, უმიზეზოდ რიგიანი სასარგებლო კაცის გაკიცხვა რა კაცობაა! ამის შემდეგ ძნელათ გაბედავს პატიოსანი კაცი გაჭირებულს საზოგადოებას გამოადგეს, ესე იგი საქვეყნოდ მოვლენილ რისხვასთან იბრძოლოს.

კორრესპოდენტის სიცრუე ამითიცა სჩანს, რომ სამი კვირა არის კალიის დასახოცათ არ გასულანო. იქნება არა სცოდნია, რომ კვირა შვიდი დღე არის, თორემ სამი კვირა საიდამ გამოიყვანა, ზემოთ ხომ ვთქვი ხუთ თიბათვემდინ ხალხი მუშაობდა, № 14-ში „დროებაში“ ეწერა ეს ამბავი ეს სამი კვირა გამოვა?

რაც შეეხება იმას, რომ 3 თიბათვეს ბ. ღუბერნატორი აქ იყო, და როგორც წავიდა ხალხმა მუშაობას თავი დაანება, ეს მართალია, მაგრამ იმისთვის კი არ დაუნებებიათ რომ იმას სჩვენებოდნენ, ხალხი ჩვეულებისამებრ დაიშალა შუადღისას. დილით ადრე გამოსული ხალხი წავიდა დასასვენებლად და პურის საჭმელათ; ამქრობა ყოველთვის დანიშნულს დროს სწყვეტდა ხოლმე მუშაობას.

ზემოთაც ვთქვი კალია გორში აღარ არის; ქალაქს გარეთ ცოტ-ცოტა იპოვება და ხალხიც არ ეშვება; მიდიან ახლაც ლიახვისკენ სამუშაოთ, ჩვენს კორრესპოიდენტს ნიღაბი აფარია, რომ ვიცნობდე პირდა-პირ დავარწმუნებდი, რომ ის სცდება დაც ილსა სწამებს კაცსა, თუმცა ცილით ისა ვერავის რას დააკლებს; მაგრამ რადგან არ ვიცნობთ ამიტომ გაზეთით ვააშკარავებთ იმის შეცდომას.

ა. თუთაევი

# რუსეთი

ჩინეთიდამ სწერენ „გოლოსს“, რომ იქ დღე-დღეზედ მოელიან ომს ჩინეთსა და რუსეთს შუა. ჩინელები ამაგრებენ სამზღვრებს ¿ იმ ნავთსადგურებს, რომელთაც რუსეთის სამხედრო ხომალდის თავს დაცემა მოელის.

—

ამბობენ, უზენაესის კომისიის უფროსს გრაფ ლორის-მელიქოვს სურვილი გამოუცხადებია, რომ დღეის იქით პოლიტიკურ დამნაშავეთა საქმეები სამხედრო სასამართლოებში აღარ გაირჩიონ და გადატანილ იქმნან სასამართლო პალატაში.

ამ სურვილის შესრულებას მალე მოელიან.

—

პუშკინის ძეგლის აგების შემდეგ რუსეთში ბევრსა ლაპარაკობენ გოგოლის თაობაზედაც. ამ ძეგლის ასაგებათ თ. დემიდოვს შეუწირავს ხუთასი თუმანი.

—

სახემწიფო ქონებათა მინისტერს ზოგიერთი მცოდნე პირი და პროგრამმები გაუგზავნია იმ მხარეებისაკენ, სადაც ცხვარი ბლომათ არის და ამ პირთათვის მიუნდვია გამოკვლევა ამ

მეურნეობის ნაწილის ნაკლებულობის.

ცნობების შეკრების შემდეგ მინისტერსა სურს გააუმჯობესოს ეს წარმოება და აგრეთვე მატყლის მოხმარება მთელს რუსეთის იმპერიაში, რადგან უკანასკნელს ხანს სამზღვარ გარეთელმა წარმოებამ ბევრათ აჯობა რუსეთისას.

---

# უცხოეთი

**წვრილი ამბები.** პარიჟიდამ იწერებიან, რომ 19 ივნისის იეზუიტებმა დასტოვეს თავიანთი დაწესებულებანი და გამოაცხადეს, რომ უნდა ძალას დაემორჩილონ. ძალადობა და უწესოება არა მომხდარა რა. ამ ცოტას ხანში იეზუიტებმა უნდა სხვა უცხო ქვეყნებში მოჰნახონ თავშესაფარი ალაგი.

—

ამას წინათ ინგლისის პარლამენტის წევრი ბრადლოუ დაატუსაღეს, რადგან იმას არ უნდოდა დამორჩილებოდა და გასულიყო პარლამენტიდამ პარლამენტის განკარგულების ძალით. ეს სკანდალი იმიტომ მოხდა, რომ ბრადლოუმ ჯერ არ მიიღო დაწესებული ფიცი პარლამენტის გახსნის წინ და შემდეგ გამოაცხადა, თუ არ დაგიშლიათ მივიღებ ფიცსაო. ეს განცხადება ბრადლოუსი პარლამენტმა სარწმუნოების შეურაცხებათა სცნო და ბრადლოუ განდევნა.

ამ ამბავმა აალაპარაკა მთელი ინგლისი, ეხლა ზოგიერთს პარლამენტის წევრს მოუნდომნიათ კანონის პროექტის შემოტანა, რომლის ძალითაც ფიცი მოსპობილი უნდა იყოს; პარლამენტის წევრთ მხოლოდ სიტყვით უნდა გამოაცხადონ კანონის მორჩილება.

—

22 ივნისს შენევაში ხალხის კრება იყო დანიშნული, რომელზედაც მთელს ხალხს უნდა გადაეწყვიტა ეკკლესია სრულიად უნდა განშორდეს სახემწიფოს თუ არა. თუ ამ განშორებას დაამტკიცებენ, მაშინ სასულიერო პირთა ეკკლესიების შენახვას სახელმწიფო აღარ იკისრებს.

—

ამ თვის დამდეგს ნეაპოლში ყოფილა ხალხის დიდი კრება, რომელზედაც გამოუცხადებიათ: ჩვენა გვსურს, რომ იტალიაში სახალხო კენჭის ყრა იყოს შემოღებულიო. თუ იტალიის პარლამენტმა ეს კანონი მიიღო, მაშინ დეპუტატები პარლამენტში მთელის ხალხისაგან იქმნებიან ამორჩეულნი.

---

### თფილისის სამკურნალო.

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდინ.

**ო რ შ ა ბ ა თ ს:** ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაბაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

**ს ა მ შ ა ბ ა თ ს:** ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაბოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბასხუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

**ო თ ხ შ ა ბ ა თ ს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცევი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბორსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხ უ თ შ ა ბ ა თ ს:** ჟურავლევი—ყელისა და გულას ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუზარიანცი — ვენერიულ და საშარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი — შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პ ა რ ა ს კ ე ვ ს:** გავრონსკი — ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი — ხირურგიულის, ლისიცევი—შიგნეულის, ბასხუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაბოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბორსკი — ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შ ა ბ ა თ ს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის ბაბოევი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი **ბ ა ბ ა ე ვ ი** მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დიმ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორო **ჟ უ რ ა ვ ლ ე ვ ი** მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი **ო ბ რ ე ხ ტ ი** ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექნება, მუდამ დღე მიიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაფოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალმბისათვის.

---


# განცხადებანი

—

სამზღვარ-გარეთის ყოველ-გვარ საგაჭრო სახლებთან პირადად ნაცნობობამ და პირდაპირის კავშირის ქონებამ, შეგვამლებინა დაგვეწყო ქ. ქუთაისში გაჭრობა

საკუთრივ

## სამზღვარ გარეთელ მოდის საქონლისა

*NOUVEAUTÉS PARISIÉNNES*'-ის

---

ფ ი რ მ ი თ

ვაცნობებთ რა ამას აქაურს პატივცემულს საზოგადოებას, ვიმედოვნებთ, რომ ის არ დაგვტოვებს უყურადღებოთ და ღირს გვყოფს მოგვმართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენის მაშუალობით შეიძლება სამზღვარ გარეთიდამ ყოველ-გვარ მაშინების, აველჯეულების, ფორტეპიანოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის გიმნაზიის და სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შვილებითურთ.

---

**კავკასიიდამ სამზღვარ გარეთ წასვლის გამო,** კაპიტანი **კონსტანტინე მაკარის ძე ორბელიანი** აცხადებს, რომ ის ჰყიდის მამის სიკვდილის შემდეგ დარჩენილს მთელს ქონებას, სახელდობრ: სამ-სართულიანი სახლი ფლიგელებით გოლოვინის პროსპექტზე, რომელშიაც არის სასტუმრო „რუსეთი“; მიწა-წყალი ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე, სახელდობრ: დასახლებული სოფელი გეუარი — 4,174 დესეტ. სოფელი ვაშლოვანი—450 დესეტ. ბაღებით, სახლით მიშენებებითურთ. აგარა კოჯორში, სახლი და მიწა 2¾ დეს. ლოკის ხეობაში, შულავრის მაზრაში, ჩატახის ქარხნის მახლობლად 3,100 დესეტინა ფიჭვის, მუხის და საშენი ტყე; მიწა სოფელს მთებზე, ლორის საპრისტაოში 5500 დესეტ. მალაკანის სოფლის ვორონცოვკის გვერდით, სახელწოდებით კარაკალა—50 დეს. უველა ეს მამულები დამიჯნულია და პლანებიც იქონიება. კოლიასკა, ფაეტონი, ცხენები, ბარინტები და რქებიანი პირუტყვები.

(3—2)

---

დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოიცემა გასასყიდად

ახალი წიგნი

ს ა მ წ ე რ ლ ო

## თაიგული

გამოცემული ილია ჭყონიასაგან.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

**1.** ბაბუას თხოვნა (ლექსი) მ. ფაზელისა **II** უბედური შემთხვევა (ამბავი) ჭ—სა. **III** ჩემს სურათებზე (ორი ლექსი) მ. ფაზელისა. **IV** მ... სადმი (ლექსი) გ—სა. **V.** ფერი ფერს—მადლი ღმერთს სამ მოქმედებიანი კომედია ცვლილ. თარგმ. ალექსი ჭიჭინაძისაგან. **VI** ჩივილი ხვედრისადმი (ლექსი) რაფ. ერისთავისა. **VII** ხასიათის გავლენა, სამუელ სმაილისა **VIII** უკითხავი პასუხი (ლექსი) ნ. დ—სა. **IX** ახალი მოვლინება ჩვენს ლიტერატურაში. **X** მტარვალებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და აზნაუროვის მაღაზიაში გოლოვინის პროსპექტზე.

ქუთაისში პ. ფ. ზერარდის წიგნის მაღაზიაში.

ფასი თითო წიგნისა ათი შაური, გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი აბაზი.

---

ჩ ა ი! ჩ ა ი! ჩ ა ი!

როგორც იქნა ბოლოს მოვიდა ინგლისის მაღაზიაში დიდ-ძალი ჩაი პირდა-პირ პლანტატორებისაგან და ისყიდება: 1 მან. 10 კაპ., 1 მან. 20 კაპ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ. და საუკეთესო ჩაი 2 მან. გირვანქა, უქაღალდოთ, ე. ი. 25% უფრო იაფი და უკეთესი, ვიდრე სხვაგან სადმე.

სად არის ინგლისის მაღაზია?—არწრუნის ქარვასლაში.

(20—11)

---

სოფელში და მოგზაურთათვის

დასაკეცი კრაოტები, კრესლო-კრაოტები, სკამები, წყლის საწმენდი მაშინები, დანები, თეფშები, ჩემოდნები, ჩაი, ბისკვიტები, კანფეთები, ციტრატმაგნეზია და თევზის საჭერი ჯოხები ისყიდება **ინგლისის მაღაზიაში**—3 მანეთიდამ 8 მანეთამდინ.

ნამდვილი ინგლისის თოფები და რევოლვერები ისყიდება ინგლისის მაღაზიაში 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე.

—

წამოსასხმელი! წამოსასხმელი! წამოსასხმელი!!

ინგლისის მაღაზიაში 3 მანეთად 25 კაპეიკად!

წინდები და ჩულქები დუჟინი 2 მანეთიდამ!

(30—12)

---

ახლანდელ დიდს

## გამოფენის

დროს,

ოლეოგრაფიული სურათები იყიდება 20% დაკლებით, მაკ-ინტოშები (მოსასხურავები) 6 მანეთიდამ 20-მდე; შროთქები მოსაფხეკებითურთ თითო 75 კ.; შეკვეთილია შეფილდში განსაკუთრებით ინგლისურ მაღაზიისთვის საუკეთესო სამართებლები, რწყვილი ბუდეებით ღირს 4 მან.; შეფილდის დანები ჩანგლებიანათ დუჟინი 2 მ. 75 კაპეიკიდამ 20-მანეთამდე. ჩაინიკები ბრიტანიის მეტალისაგან 30 კაპეიკიდამ 3 მანეთამდე; ციტრატ-მაგნეზია, ოსმალოს შარბათი და სამწყურალო კვერების ბანქა 70 კ.; საუკეთესო პორტ-ვეინი და ხერესი 1 მ. 40 კ. ბოთლი, და შამპანიის ღვინო ბოთლი 3 მან. და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(40—23)


---

Дозволено цензурою. Тифлисъ 25 Іюня 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი